

როგორ დავწეროთ CV

მასალა მოამზადა სოფიკო ლობჯანიძემ

პორტფოლიოს შეფასებისას ყურადღება ექცევა როგორც მის გარეგნულ ფორმას, ასევე თითოეული დოკუმენტის შინაარსობრივ მხარეს.

პორტფოლიოში თავფურცელსა და სარჩევს უნდა მოსდევდეს პორტფოლიოს ავტორის CV.

რა არის CV (Curriculum Vitae)

Curriculum Vitae ლათინური სიტყვაა და ნიშნავს “ცხოვრების გზას”. CV ძალიან გავრცელებული და დამკვიდრებული ტერმინია საქართველოში, მაგრამ ხანდახან მას რეზიუმესაც უწოდებენ.

CV წარმოადგენს ავტობიოგრაფიის სპეციფიკურ ვარიანტს, რომელიც იძლევა პიროვნების შესახებ მოკლე, საბაზისო ინფორმაციას. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ CV იყოს მაქსიმალურად ნათელი, ლაკონური, არანარატიული/*არათხრობითი სტილის მქონე*, სტრუქტურულად გამართული დოკუმენტი, რომელიც ძირითადად შეიცავს თარიღებსა და ფაქტებს.

რა უნდა გავითვალისწინოთ CV-ის შედგენის დროს?

არ არსებობს CV-ის შედგენის უნივერსალური სტანდარტი. თუმცა არსებობს ძირითადი კომპონენტები, რომლებსაც ყველა CV უნდა შეიცავდეს.

- CV-ის შინაარსის განსაზღვრისას უნდა გავანალიზოთ ვინ იქნება ამ დოკუმენტის პოტენციური შემფასებელი და რა აინტერესებს მას ჩვენი საქმიანობის შესახებ და სწორედ იმ სფეროებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. CV არ არის მხოლოდ შრომითი საქმიანობისა და მიღწევების მშრალი და უხალისო ჩამონათვალი. გონივრულად შედგენილმა ავტობიოგრაფიამ ნათლად უნდა წარმოაჩინოს - რა საქმიანობით ვიყავით დაკავებული, რა საქმიანობას ვეწევიდით დღეს და რა საქმიანობა გვაქვს განზრახული მომავალში.
- უპასუხისმგებლოდ არ უნდა მოვეკიდოთ ამ დოკუმენტის შინაარსს. გვახსოვდეს, რომ მას წამკითხველი ყურადღებით გაეცნობა. მნიშვნელოვანია, რომ CV-ის გაცნობა საშუალებას აძლევდეს დაინტერესებულ პირს კარგად

აღიქვას ჩვენი პროფესიული კომპეტენცია, ამიტომ ნუ მოვერიდებით ჩვენი მიღწევების წარმოჩენას.

- არ მივუთითოთ ისეთი აქტივობები, რომელთაც ჩვენ არ ვახორციელებთ. ვიყოთ ობიექტურები საკუთარი საქმიანობის შეფასებაში. დამატებითი ინფორმაციის პუნქტში არ ჩამოვწეროთ დადებითი მორალური თვისებების გრძელი სია და ის უნარები, რომელთაც სინამდვილეში ვერ ვფლობთ. ასეთი დამოკიდებულება წამკითხავს გაუჩენს ეჭვს ჩვენს გულწრფელობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ შექნილი CV იქნება სანდო.
- ვეცადოთ CV იყოს ლაკონური. სპეციალისტების აზრით მისი გაცნობა არ უნდა მოითხოვდეს დიდ დროს.
- მსხვილი და გამუქებული შრიფტით გამოვყოთ ძირითადი პუნქტები.
- გაფორმებისას ყველანაირი ექსტრავაგანტულობისაგან შევიკავოთ თავი.
- CV უნდა იყოს ორთოგრაფიულად და გრამატიკულად გამართული.
- CV არ არის დოკუმენტი, რომელსაც ერთხელ ჩამოვაცალიებთ და შემდეგ მუდმივად, ყველა საჭირო შემთხვევაში გამოვიყენებთ— აუცილებელია ხშირად განვაახლოთ ჩვენი CV.
- ბიოგრაფიის შევსებისას მონაცემები შევიტანოთ დადმავალი თარიღების მიხედვით (უახლოესიდან უფრო შორეულისკენ).

მაშასადამე, CV-ის შედგენისას ვიყოთ კეთილსინდისიერები, კომპაქტურები, ადექვატურები და თანმიმდევრულები.

რა ძირითად კომპონენტებს უნდა შეიცავდეს CV

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არსებობს CV-ის დაწერის უნივერსალური და სრულყოფილი წესი, თუმცა რამდენიმე “ოქროს წესი” მაინც უნდა დავიცვათ მისი წერის დროს.

CV შიდავს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

- **პერსონალური (პირადი) ინფორმაცია:**

სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა. ასევე კარგი იქნება თუ დავურთავთ ჩვენს სურათს.

- **განათლება და პროფესიული ტრენინგები:**

სწავლის პერიოდი, სასწავლებელი, ფაკულტეტი, საუნივერსიტეტო ხარისხი, კვალისიკაცია, ტრენინგები – სფერო, მიმართულება

- **სამუშაო გამოცდილება:**

მუშაობის პერიოდი – თვე, წელი, ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, თანამდებობა, ძირითადი ფუნქციები, მიღწევები

- **სიმპოზიუმები, კონფერენციები და სემინარები**

დონისძიების თემა, ჩატარების თარიღი, ადგილი, ორგანიზატორი, მოხსენების სათაური (თუ ვართ მომხსენებლები)

- **პუბლიკაციები**

პუბლიკაციის გამოცემის თარიღი, სათაური, ჟურნალის/წიგნის/სამეცნიერო კრებულის/გაზეთის სათაური, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი.

- **დამატებითი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები**

უცხო ენის ცოდნა – დონის მითითებით; კომპიუტერული პროგრამების ცოდნა – კონკრეტული პროგრამების მითითებით და სხვ.

- **ჰობი**

ამ პუნქტში ჩაიწერება თქვენი ინტერესების სფერო - სპორტი, მოგზაურობა, მუსიკა, ცეკვა და ა.შ.

- **სხვა აქტივობები და წევრობა**

გულისხმობს ინტელექტუალურ, შემოქმედებით, საზოგადოებრივ აქტივობებს.

გთავაზობთ CV-ის ორ ნიმუშს, რომლებიც პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება.

CV

სახელი, გვარი

დაბადების თარიღი:

მისამართი:

ტელ:

E-mail:

განათლება

(წლები _ სასწავლებელი, ფაკულტეტი, სპეციალობა)

სამუშაო გამოცდილება

წლები _ ორგანიზაცია, თანამდებობა, ძირითადი ფუნქციები, წარმატებები
(ბოლო სამუშაოდან ქრონოლოგიურად უკან)

ტრენინგები

პერიოდი _ ტრენინგის, კურსის დასახელება, კვალიფიკაცია, სერტიფიკატი

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

(პროგრამებისა და დონის მითითებით)

ენები

(დონის მითითებით)

☒ ქართული (მშობლიური)

☒ რუსული (კარგად)

☒ ინგლისური (საწყის დონეზე)

ჰობი

ბიოგრაფია CV

პირადი ინფორმაცია

სახელი, გვარი
დაბადების თარიღი
საკონტაქტო ინფორმაცია

განათლება და პროფესიული ტრენინგი

- თარიღი
- ორგანიზაციის ტიპი და დასახელება
- ფაკულტეტი/ტრენინგი/კურსი
- კვალიფიკაცია

სამუშაო გამოცდილება

- თარიღი
- დამსაქმებელი
- თანამდებობა

სიმპოზიუმები და
სემინარები

სხვა აქტივობები და
წევრობა

პუბლიკაციები

გრანტები

